42. სახელმწიფო მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის რესურსების გასაღიდებლად, აეკრძალოს ცენტროსოიუზს, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს, სარეწაო კოოპერაციას და ინვალიდთა კოოპერაციას ტყავნედლეულისა და მატყლის შესყიდვა ბაზარზე წარმოშობილ ფასებში. აღნიშნული ორგანიზაციები ვალდებული არიან მათ მიერ შესყიდული პირუტყვის დაკვლის შედეგად მიღებული მთელი ტყავი ჩაბარონ დამზადებათა სამინისტროს.

43. საჭიროდ ჩაითვალოს იმ ტყავნედლეულისა და ცხვრის ტყავის დამზადების სახელმწიფო ფასების ერთგვარი გადიდება, რასაც სახელმწიფოს ბარებენ კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი, დამხმარე მეურნეობანი, სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები, კოლმეურნე კომლები, ერთპიროვნული მეურნეობანი, მუშა-მოსამსახურენი.

დაეკალოს დამზადებათა სამინისტროს, მთავრობის მიერ დამტკიცების შემდეგ, გამოსცეს ტყავნედლეულისა და ცხვრის ტყავის დამზადების ახალი ფასების პრეისკურანტი.

კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის გეგმის გადამეტებით ჩაბარების სტიმულირებისათვის, ჩაბარების ვალდებულებათა გადამეტებით ჩაბარებული ტყავნედლეულისათვის კოლმეურნეობებს მიეცეს დამზადების სახელმწიფო ფასების ერთნახევარი ოდენობა.

44. კოლმეურნეობებს, კოლმეურნე კომლებს, ერთპიროვნულ მეურნეობებს, მუშებსა და მოსამსახურეებს ჩაბარების ვალდებულებათა გადამეტებით ან სავალდებულო ჩაბარების წესით ტყავნედლეულის ჩაბარებისათვის მიეყიდოს ტყავეული საქონელი ნატურით არსებული ნორმების მიხედვით.

ტყავნედლეულის ჩაბარებლებს ტყავეული საქონელი მიეყიდოს ერთიანი საბითუმო ფასების შესაბამისი ფასებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 26 ნოემბრის № 4417 დადგენილებით.

ამ დადგენილების გამოცემამდე ჩაბარებული ტყავნედლეულისათვის ტყავეული საქონელი ჩამბარებლებს ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 1 თებერვლის № 403 დადგენილებით დაწესებულ ფასებში.

45. სოფელ ადგილებში პირუტყვის დაკვლისას საჭირო ვეტერინარულ-სანიტარული პირობების შესაქმნელად და კარგი ხარისხის ტყავის მისაღებად დაეკალოს დამზადებათა სამინისტროს სათანადო წესიგიზე მოიყვანოს არსებული სასაკლაო პუნქტები, აგრეთვე გააძლიეროს სასაკლაო პუნქტების ახალი შენებლობა იმ ანგარიშით, რომ 1949 წლის დამლევისათვის მათი რაოდენობა აიყვანოს 7-დან 8,5 ათასამდე, 1950 წელს — 11 ათასამდე და 1951 წელს—16 ათასამდე.

დაეკალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს „დღტ"-ის პრეპარატებით და თეთრი შხამას ფესურით დაამუშაონ 1950 წელს 20 მილიონი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 1951 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მთელი სულადობა კანის ბრალ გავრცელების რაიონებში.

დაეკალოს დამზადებათა სამინისტროს:

ა) სასაკლაო პუნქტებში გაატაროს კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური ჩამბარებლებისაგან ტყავნედლეულის დამზადება;

ბ) დაამტკიცოს სასაკლაო პუნქტების, სასაკლაო მოედნების ტიპობრივი პროექტები, მათი ტიპობრივი მოწყობილობა და ახალაშენებული პუნქტების განაშენებისა ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით;

გ) უზრუნველყონ ყველაზე დიდი სასაკლაო პუნქტები გადასაზიდი საშუალებებით დაკლული პირუტყვის ტრანსპორტირებისათვის.

დაეკალოს საოლქო და სამხარეო აღმასკომებს და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაამტკიცონ სასაკლაო პუნქტების ასაშენებელი წერტილები და დახმარება გაუწიონ დამამზადებელ ორგანიზაციებს ადგილობრივი საშენი მასალით უზრუნველყოფაში.

აიკრძალოს პირუტყვის ეზოებში დაკვლა იმ ადგილებში, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სასაკლაო პუნქტები.

სასაკლაო პუნქტებს დაშორებულ სოფელ ადგილებში პირუტყვის დაკვლა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეთა ეზოებში მოეწყოს პირუტყვის სპეციალურ დამკვლელთა საშუალებით.

46. მეკრაველობის წარმატებით განვითარების უზრუნველსაყოფად და კრაველისა და მაკიდაკის დამზადების გასაღიდებლად კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და სხვა მოქალაქეთა მეურნეობებს ყოველ ჩაბარებულ კრაველისა და მაკიდაკის ტყავში ჩაითვალოს 4 კილოგრამი ხორცის ჩაბარების ვალდებულების შესრულების ანგარიში და ერთი ცხვრის ტყავი წვრილფეხა პირუტყვის ტყავნედლეულის ჩაბარების ვალდებულების შესრულების ანგარიშში.

47. ტყავნედლეულისა და მატყლის სახელმწიფო დამზადების გასაუმჯობესებლად საჭიროდ ჩაითვალოს ამ სახის ნედლეულის დამზადების თავმოყრა ერთი სახელმწიფო დამამზადებელი ორგანიზაციის ხელში და ტყავნედლეულისა და მატყლის დამზადება ყველგან დაეკისროს დამზადებათა სამინისტროს (ცხოველნედლეულდამზადებას), ხოლო ცენტროსოიუზი განთავისუფლებულ იქნას ამ საქმეთაგან.

48. დაეკალოს დამზადებათა სამინისტროს:

ა) ააღოს 1949-1950 წლებში ნედლეულის 1.200 საწყობი და 700 სახლი, აქედან 1949 წელს—400 საწყობი და 200 სახლი და 1950 წელს 800 საწყობი და 500 სახლი.

ბ) გამოჰყოს 1949 წელს „ცხოველნედლეულდამზადების" რაიონული დამამზადებელი კანტორებისათვის 1.000 სატვირთო ავტომანქანა, აქედან 500 ავტომანქანა ფონდებით მიღებული რაოდენობიდან და 500 ავტომანქანა „სოიუზზაგოტტრანსიდან" გადაცემის გზით.

დაეკალოს ცენტროსოიუზს ერთი თვის ვადაში გადასცეს დამზადებათა სამინისტროს სასაკლაო პუნქტების მთელი ქსელი.

49. დაეკალოს სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს:

ა) გამოუყოს დამზადებათა სამინისტროს კირთვის ოლქში ტყესაკაფი ფონდი 160 ათასი კუბმეტრი მერქნის მოცულობით 1950-1955 წლებისათვის;

ბ) გამოუყოს დამზადებათა სამინისტროს უდმურტეთის ასს რესპუბლიკაში ტყესაკაფი ფონდი ყოველწლიურად 16 ათასი კუბმეტრი მერქნის რაოდენობით, 1950 წლიდან 1955 წლამდე, რეესთის სუსს მინისტრთა საბჭოს ფონდებიდან.

50. დაეკალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დამატებთან გამოუყოს დამზადებათა სამინისტროს 1949 წელს საწყობების, სასაკლაო პუნქტების მშენებლობისათვის, მოწყობილობისა და ტრანსპორტის შესაძენად საჭირო კაპიტალური დაბანდებისათვის 111 მილიონი მანეთი.

დაეკალოს სსრ კავშირის სახმომარაგებას დამატებით გამოუყოს 1949 წელს დამზადებათა სამინისტროს საჭირო რაოდენობით მოწყობილობა და მასალა სასაკლაო პუნქტებისა და საწყობების მშენებლობისათვის.

VI

ფრთა-ბუმბულის, ნაწლავების, ჯაგრისა და ძუის დამზადება

51. დამტკიცდეს ფრთა-ბუმბულის, ნაწლავების, ჯაგრისა და ძუის დამზადების გეგმები შემდეგი რაოდენობით:

ა) ფრთა-ბუმბულისა 1949 წელს 1.300 ტონა, 1950 წელს—1.900 ტონა და 1951 წელს—2.600 ტონა;

ბ) ნაწლავებისა 1949 წელს 25.500 ათასი კომპლექტი, მათ შორის ხორცკომბინატების ხაზით 19.300 ათასი კომპლექტი, 1950 წელს — 29.800 ათასი კომპლექტი, მათ შორის ხორცკომბინატების ხაზით 21.900 ათასი კომპლექტი და 1951 წელს—33.800 ათასი კომპლექტი, მათ შორის ხორცკომბინატების ხაზით 24.400 ათასი კომპლექტი;

გ) ჯაგრისა 1949 წელს 160 ტონა, 1950 წელს 250 ტონა და 1951 წელს 350 ტონა;

დ) ძუისა 1949 წელს 950 ტონა, 1950 წელს 1.250 ტონა და 1951 წელს 1.800 ტონა.

დაეკალოს დამზადების სამინისტროს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან და ცენტროსოიუზთან ერთად ორი კვირის ვადაში შემოიტანოს წინადადება ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით ფრთა-ბუმბულის, ნაწლავების, ჯაგრისა და ძუის დამზადების გეგმის შეახებ.

52. ფრთა-ბუმბულის, ნაწლავების, ჯაგრისა და ძუის დამზადების მოწყობის გასაუმჯობესებლად დაეკისროს:

ა) ფრთა-ბუმბულის დამზადება ცენტროსოიუზს ისე, რომ ამ ნედლეულის დამზადებაში ხელშეკრულების პირობებით ჩაბმულ იქნან სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები;

ბ) ნაწლავების დამზადება — სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, დამზადების სამინისტროს და ცენტროსოიუზს.

დაწესდეს, რომ დამამზადებელი ორგანიზაციებისაგან ნაწლავებს მიიღებს და გადაამუშავებს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო;

გ) ჯაგრისა და ძუის დამზადება — დამზადების სამინისტროს ისე, რომ ამ ნედლეულის დამზადებაში ხელშეკრულების პირობებით ჩაბმულ იქნან ცენტროსოიუზი და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო.

დაეკალოს ხორცკომბინატებისა და სასაკლაოების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ ჯაგრისა და ძუის შეგროვება და დამამზადებელი ორგანიზაციებიათვის ჩაბარება.

53. გაუქმდეს ფრთა-ბუმბულის, ნაწლავების, ჯაგრისა და ძუის ბაზრის ფასებით შესყიდვა და რამდენადმე გადიდდეს ფრთა-ბუმბულის, ნაწლავების, ჯაგრისა და ძუის დამზადების სახელმწიფო ფასები.

დაეკალოს დამზადების სამინისტროს გამოსცეს ფრთა-ბუმბულის, ნაწლავების, ჯაგრისა და ძუის სახელმწიფო დამზადების ფასების მთავრობის მიერ დამტკიცებული პრეისკურანტი.

54. ნება დაერთოს დამზადების სამინისტროს, რომ კოლმეურნეობებს, კოლმეურნე კომლებს, ერთპიროვნულ მეურნეობებს, მუშა-მოსამსახურეებს მათ მიერ დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის ჩაბარებული ნაწლავები ჩაუთვალონ სახელმწიფოსათვის ხორცის საყალდებულო ჩაბარების შესრულებაში შემდეგი ეკვივალენტებით: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სტანდარტული ხარისხის ნაწლავების ერთი სრული კომპლექტი—2 კილოგრამ ცოცხალი წონის პირუტყვად, ცხვრისა და ღორის და მოზარდეული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სტანდარტული ხარისხის ნაწლავების ერთი სრული კომპლექტი—1 კილოგრამ ცოცხალი წონის პირუტყვად.

55. ფრთა-ბუმბულის, ჯაგრისა და ძუის შეგროვების წესახალისებლად დაეკალოს კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომ მეცხოველეობის ფერმების მუშაკებს ფულადი ანაზღაურება აძლიონ შეგროვებული და დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის ჩაბარებული ფრთა-ბუმბულის, ჯაგრისა და ძუის ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით.

შემოღებულ იქნას, რომ ეზო-ეზო დაკლული პირუტყვის ნაწლავების დამამზადებელ აგენტებსა და შემგროვებლებს დამამზადებელი ორგანიზაციების ხარჯზე მიეცეთ საკმისი გასამრჯელო 2 მანეთის ოდენობით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პირველი ხარისხის ნაწლავების ერთ კომპლექტში; დამზადება სამინისტროს სასაკლაო პუნქტების სალაბეს ნაწლავების შეგროვებაში გასამრჯელო მიეცეთ ნახევარი ოდენობით.

ამის შესაბამისად დამზადების სამინისტრომ დააწესოს საკმისიო გასამრჯელოს ოდენობა დანარჩენი სახეებისა და ხარისხების ნაწლავებისათვის.

VII

ხორცისა და რძის პროდუქტების შენახვისა და გადაზიდვის შესახებ

56. იმისათვის, რომ ლიკვიდირებულ იქნას მაცივართა მშენებლობის ჩამორჩენა ხორცის, ერბო-კარაქის წარმოების ზრდისაგან, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ამ პროდუქტების მარაგის შენახვა და მათი ხარისხის გაუმჯობესება, 1949-1951 წლებში გადიდდეს მაცივართა ტევადობა 680 ათასი ტონით, მაცივართა მშენებლობის, აღდგენისა და გაფართოების ხარჯზე და მაცივრებად უსაცივრო სადგომების გამოყენებით, მათ შორის:

ა) სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით 470 ათასი ტონით, ამასთან მაცივართა ტევადობა 1951 წლის დამლევისათვის აყვანილ იქნას 800 ათას ტონამდე;

ბ) სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების სამინისტროს ხაზით—190 ათასი ტონით, აქედან 1949 წელს—30 ათასი ტონით, 1950 წელს—70 ათასი ტონით და 1951 წელს — 90 ათასი ტონით;

გ) სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ხაზით—10 ათასი ტონით, აქედან 1950 წელს—4 ათასი ტონით და 1951 წელს—6 ათასი ტონით ისე, რომ 1951 წლის დამლევისათვის მაცივართა ტევადობა აყვანილ იქნას 22 ათას ტონამდე;

დ) ცენტროსოიუზის ხაზით — 10 ათასი ტონით, აქედან 1949 წელს — 0,5 ათასი ტონით, 1950 წელს — 3,5 ათასი ტონით, 1951 წელს—6 ათასი ტონით.

57. დაეკალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს:

ა) სამინისტროსათვის 1949-1951 წლებში დაწესებული სამაცივრო ტევადობის ამოშავების გეგმის ფარგლებში აშენდეს განვითარებული მეცხოველეობის რაიონებში და, პირველ რიგში, იმ პუნქტებში, სადაც მაცივრები არ არის, 133 პატარა მაცივარი არსებულ სასაკლაოებთან და მაცივარ-სასაკლაოების 104 მაცივარი 300-500 ტონამდე ტევადობისა ისე, რომ ამუშავდეს 1949 წელს—33 მაცივარი, 1950 წელს—98 და 1951 წელს — 106 მაცივარი;

ბ) ათვისებულ და დაწყებულ იქნას 1949 წელს საკუთარ მანქანათმშენებელ ქარხნებში ასაწყობი ტიპის 50-100 ტონა ტევადობის სტანდარტული პატარა მაცივრების წარმოება და 1949 წელს გაკეთდეს 25 მაცივარი, 1950 წელს—60 და 1951 წელს—100 მაცივარი;

გ) შემუშავდეს და 1949 წლის 1 სექტემბრისათვის წარმოდგენილ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი 100-300 ტონის ერთდროულად შენახვის ტევადობის ასაწყობი ტიპის სტანდარტულ მაცივართა მშენებლობის შესახებ და დაიწყოს ამ მაცივართა მშენებლობა 1950 წლიდან;

დ) გაკეთდეს 1950-1951 წლებში მაცივართა მშენებლობისათვის ამონიაკის 350 მაცივარდანადგარი 30 ათასი ნორმალური კალორია/საათის სიცივის წარმოებისა, მათ შორის 1950 წელს—150 დანადგარი.

58. დაეკალოს მანქანათმშენებლობის და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ჩაბარონ 1950-1951 წლებში მაცივართა მშენებლობისათვის 1.255 კომპლექტი ამონიაკის მაცივარი კომპრესორი 350 მილიონი ნორმალური კალორია/საათის სიცივის წარმოებისა, მათ შორის:

ა) მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ხაზით: 1950 წელს ორსაფეხურიანი კუმშვის კომპრესორი — 55 კომპლექტი 20 მილიონი ნორმალური კალორია/საათის სიცივის წარმოებისა და ერთსაფეხურიანი კუმშვის კომპრესორი — 450 კომპლექტი 103 მილიონი ნორმალური კალორია/საათის სიცივის წარმოებისა, 1951 წელს ორსაფეხურიანი კუმშვის კომპრესორი — 120 კომპლექტი 50 მილიონი ნორმალური კალორია/საათის სიცივის წარმოებისა და ერთსაფეხურიანი კუმშვის კომპრესორი—530 კომპლექტი 131 მილიონი ნორმალური კალორია/საათის სიცივის წარმოებისა;

ბ) საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ხაზით: 1950 წელს ორსაფეხურიანი კუმშვის კომპრესორი — 45 კომპლექტი 20 მილიონი ნორმალური კალორია/საათის სიცივის წარმოებისა და 1951 წელს 55 კომპლექტი 26 მილიონი ნორმალური კალორია/საათის სიცივის წარმოებისა.

59. დაეკალოს მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს:

ა) ათვისოს 1949 წელს 400 ათასი ნორმალური კალორია/საათის სიცივის წარმოების ამონიაკის სამაცივრო კომპრესორთა წარმოება და 75-150 ათასი ნორმალური კალორია/საათის, ხოლო 1950 წელს 275 ათასი კალორია/საათის სიცივის წარმოების ორსაფეხურიანი კომპრესორების წარმოება (ორთქლებს 33 გრადუსი ტემპერატურის დროს);

ბ) დაამზადოს და ჩააბაროს 1950-1951 წლებში ამონიაკის საკეტი და მარეგულირებელი არმატურა (ფოლადისა და ჭედადი თუჯისა) 90 ათასი ცალის რაოდენობით, მათ შორის 1950 წელს 40 ათასი ცალი, აქედან 10 ათასი ცალი ფოლადისა, ლუდლოს საკალთა—15 ათასი ცალი, აქედან 1950 წელს 7 ათასი ცალი, ამონიაკის მანომეტრი და მანნოვაკუუმეტრი 15 ათასი ცალი, მათ შორის 1950 წელს 7 ათასი ცალი და 5,5 და ნდ ჯგუფების ცენტრიდანული ტუმბოები—1.400 კომპლექტი, მათ შორის 1950 წელს 600 კომპლექტი.

60. დაეკალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის 1950-1951 წლების გეგმებში:

ა) საჭირო კაპიტალდაბანდებათა გამოყოფა ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მაცივართა მშენებლობის უზრუნველსაყოფად;

ბ) წარმოება საიზოლაციო მასალებისა იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მაცივართა მშენებლობის სრულ მოთხოვნილებას, აგრეთვე სამტონადე ტვირთამწეობის ტვირთამწეთა დაზადება 300 კომპლექტის რაოდენობით, მათ შორის 1950 წელს 150 კომპლექტი და ორ ტონამდე ტვირთამწეობის სატვირთო ჩასმული სასწორი 1.000 ცალი, მათ შორის 1950 წელს 400 ცალი.

61. დაეკალოს სსრ კავშირის სახმომარაგებას გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობების 1950-1951 წლების გეგმებში იმდენი საშენი მასალების, საკაბელე პროდუქციის, ლითონისა და მოწყობილობის გამოყოფა მაცივართა მშენებლობისათვის, რაც საჭიროდ დაკმაყოფილებს მაცივართა მშენებლობის, აღდგენისა და გაფართოების საჭიროებას.

62. დაეკალოს მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს დაამზადოს მაცივრებისათვის 1950 წელს 12 ათასი ცალი, ხოლო 1951 წელს 15 ათასი ცალი ამონიაკის ბალონი.

63. დაეკალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ჩაბარონ 1949-1951 წლებში 8 ათასი იზოთერმული 4-ღერძიანი ვაგონის მშენებლობის საკითხი და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ საკითხზე.

64. დაეკალოს საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს ჩაბაროს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს 1950 წელს 1.000 ავტომანქანა და 1951 წელს 1.500 ავტომანქანა და იზოთერმული ძარები მათთვის.

65. დაეკალოს საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს, რომ 1950-1951 წლებში ჩაბაროს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მინერალური და წყლის იზოლაცია ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საფასებით უზრუნველყოფილ იქნას ამ დადგენილებით დაწესებული მაცივართა მშენებლობის გეგმის შესრულება, აგრეთვე ამ მიზნისათვის აღნიშნულ ვადაში ჩაბაროს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს 10.000 კუბური მეტრი პენოპლასტი, მათ შორის 5 ათასი კუბური მეტრი 1950 წელს.

66. დაეკალოს საოლქო და სამხარეო აღმასკომებსა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს:

ა) გამოჰყონ მაცივართა ასაგებად ფართობები იმ ადგილებში, სადაც არის ელექტროენერგია და რკინიგზის ლიანდაგები, ან რკინიგზის ლიანდაგების ახლოს;

ბ) გამოჰყონ აგური, კირი, ქვა და სხვა ადგილობრივი საშენი მასალა მაცივართა მშენებლობისათვის მშენებლობის დაწესებული ვადების შესაბამისად;

გ) დახმარება გაუწიონ სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების სამინისტროს მშენებელ ორგანიზაციებს საცხოვრებელი ბინებით მშენებელი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის.

VIII

მეცხოველეობის პროდუქტების დამამზადებელ მუშაკთა წახალისების შესახებ

67. მეცხოველეობის პროდუქტების დამამზადებელ მუშაკთა წასახალისებლად მუშაობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის შეტანილ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წინადადებანი:

ა) რომ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, ცენტროსოიუზის სისტემის მუშაკები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და გადამუშავების გეგმების შესრულებისათვის;

ბ) რომ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და ცენტროსოიუზის მუშაკები, რომელნიც მუშაობენ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებასა და გადამუშავებაზე და აქვთ ამ სისტემებში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი: 8 წლის სტაჟის მქონე—მედლით „შრომითი წარჩინებისათვის", 10 წლისა—მედლით „შრომითი მამაცობისათვის", 15 წლისა — „სამამაცო ნიშნის" ორდენით, 20 წლისა — შრომის წითელი დროშის ორდენით, 25 წლის სტაჟის მქონე — ლენინის ორდენით;

გ) რომ დამზადების სამინისტროს დამამზადებელი ბარაკის მუშაკთათვის შემოღებულ იქნას პერსონალური წოდებანი და ფორმის ტანსაცმელი.

68. შემოღებულ იქნას დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოება მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის შემდეგი ოდენობით:

ა) დამზადების სამინისტროს სახელმწიფო ჩაბარების აგენტებისათვის აგენტის უბანში მეცხოველეობის ყველა სახის პროდუქტის დამზადების წლიური გეგმების შესრულებისათვის — ოთხი თვის ხელფასი, ხოლო აგენტის უბანში მეცხოველეობის მეტი წილი სახის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმების შესრულებისათვის — სამი თვის ხელფასი;

ბ) დამზადების სამინისტროს რაიონულ რწმუნებულთა და რაიონული რწმუნებულების მოადგილეთათვის მთლიანად რაიონში მეცხოველეობის ყველა სახის პროდუქტის დამზადების წლიური გეგმების შესრულებისათვის—ოთხი თვის ხელფასი, ხოლო მთლიანად რაიონში მეცხოველეობის მეტი წილი სახის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმების შესრულებისათვის—სამი თვის ხელფასი;

გ) ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემის პირუტყვისა და ფრინველის დამზადების რაიონულ ლაბორატორიებსა და ინსტიტუტებში მმართველების, მმართველის მოადგილეების, ბაზების გამგეების, მიმღებთა და ვეტერინარულ მუშაკთათვის პირუტყვისა და ფრინველის დამზადების წლიური გეგმების შესრულებისათვის, თუ ამასთან დაცულია დაწესებული კონდიციები და დამზადებაზე ზედმეტი ხარჯები არ არის გაწეული—სამი თვის ხელფასი;

დ) დამზადების სამინისტროს ცხოველნედლეულის დამამზადებელი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კანტორებისათვის, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დაწესდეს ერთი პირველი პრემია, სამი მეორე პრემია და ოთხი მესამე პრემია.

69. გაერცელდეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 14 ივლისის № 1.053 დადგენილებით დამზადების სამინისტროს მუშაკთათვის დაწესებული ნამსახურობისათვის პროცენტული წანამატის გაცემა.

ა) სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემის მუშაკებზე;

ბ) ცენტროსოიუზის იმ მუშაკებზე, რომელნიც მუშაობენ სახელმწიფო გეგმების მიხედვით კვერცხის და მეცხოველეობის ნედლეულის დამზადებაზე.

70. ხელმძღვანელი დამამზადებელი კადრების მოზრდისა და გადამზადების საქმის გასაუმჯობესებლად:

ა) დამზადების სამინისტროს ცენტრალური კურსები გადაკეთდეს უმაღლეს დამამზადებელ სკოლად სწავლების სამი წლის ვადით ისე, რომ ყოველწლიურად მიღებულ იქნას 150 კაცი;

ბ) დაეკალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და უმაღლესი განათლების სამინისტროს მოაწყონ 1949 წელს სამაცივრო და რძის მრეწველობის ლენინგრადის ინსტიტუტთან და ხორცის მრეწველობის მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან ხორცისა და რძის მრეწველობის ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დახელოვნების განყოფილებანი სწავლების ერთი წლის ვადით.

71. ნება დაერთოს დამზადების სამინისტროს 1949 წლის 1 ივლისიდან აღადგინოს გამოცემა ჟურნალისა „ზაგოტოვკი სელსკოხოზიასტვენნიხ პროდუქტოვ".

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე

გერმანიის ერთიანობის პრობლემის განხილვა

პარიზი, 25 მაისი. (საკუთრ.). 25 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე ა. ი. ვიშინსკის სიტყვის შემდეგ გამოიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ა.ჩესონი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შუმანი და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბევინი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ა.ჩესონის გამოსვლა

თავისი გამოსვლის დასაწყისში ა.ჩესონმა თქვა, რომ მისი აზრით, გუშინ მინისტრებმა მიაღწიეს საერთო შეთანხმებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მიღწეულ იქნას გერმანიის ერთიანობა. „ჩვენ თანახმანი არა ვართ მხოლოდ იმ მეთოდის საკითხზე, რომლის მეოხებითაც შეიძლება განხორციელდეს ეს ერთიანობა",—თქვა მან. მაგრამ ა.ჩესონმა კვლავ დაფიქრებით ილაშქრებდა საბჭოთა წინადადებების თვეთ აზრის წინააღმდეგ, რომელთა მიზანია გერმანიის ერთიანობის აღდგენა.

თუმცა ვიშინსკის ცხადყო, რომ საბჭოთა დელეგაცია ეშვარება გერმანიაში შექმნილი რიგი მდგომარეობის და რომ იგი, კერძოდ, წინადადებას იძლევა შეიქმნას სრულიად გერმანიის სახელმწიფოთა საბჭო მთავრობის ფუნქციებით ეკონომიური და სახელმწიფო მშენებლობის დარგში, აღიარებულ იქნეს ეკონომიური ორგანიზაციის საფუძველზე, ა.ჩესონმა კვლავ გადმოცა თავისი გუშინდელი განცხადება, რომ საბჭოთა წინადადებები თითქოს მოასწავებენ „უკან გადადგომას ნაბიჯს".

— მე ვფიქრობ,—თქვა ა.ჩესონმა,—ვიშინსკი წინადადებას იძლევა უკეთგადდთ ის, რაც გაკეთებულია, და დაეუბრუნდეთ ძველ მეთოდს.

ა.ჩესონი შეეხო საბჭოთა წინადადებას საკონტროლო საბჭოს აღდგენის შესახებ და განაცხადა:

— ჩვენ როდი ვამბობთ, რომ საერთოდ საბჭოთა არ არის საკონტროლო საბჭოს აღდგენა არა, რასაკვირველია, ჩვენ ამას არ ვამბობთ. მაგრამ მე მგონია, რომ კონტროლის საკითხი უნდა მოამზადეს, გერმანიის ერთიანობის საკითხის გადაწყვეტამდე და არა წინ უსწრებდეს მას.

შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა წინადადება წამოაყენა, რომ პირველ რიგში განხილულ იქნას ეკონომიური პრობლემები, რომლებიც მისი გაგებით წარმოადგენენ ტრიზონიასთან გერმანიის აღმოსავლეთ ზონის შეერთების პრობლემას.

ა.ჩესონი ცდილობდა საქმე იმგვარად წარმოეგანა, თითქოს ტრიზონიასში უკვე მიღწეულია ეკონომიური პროგრესი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მიერ დახატული იდეალური სურათი მკვეთრად ეწინააღმდეგება ნამდვილ მდგომარეობას და ტრიზონიის ეკონომიური მდგომარეობის იმ შეფასებას, რომელიც მას მისცა, კერძოდ, გერმანიის ოკუპაციის ინგლისური ზონის გეზერნატორმა გენერალმა რობერტსონმა „თუ ვინმე ამტკიცებს,—თქვა ამას წინათ რობერტსონმა,—რომ მდგომარეობა დასავლეთ გერმანიაში დამაკმაყოფილებელია, მე მას ვირად ჩავთვლი". თვით ა.ჩესონიც იძულებული იყო ეღიარებინა, რომ 1948 წელს ტრიზონიაში საბარეო ვაჭრობის დეფიციტის დასაფარავად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დახარჯეს 1.150 მილიონი დოლარი, და რომ მიმდინარე წელს იმ ვალებიანეთ თანხას დემატება კიდევ 950 მილიონი დოლარი.

იმის მტკიცება, თითქოს დასავლეთ გერმანიის ეკონომიკა წარმატებით ვითარდებოდეს, აბსურსია, როგორც ჩანს, ამისათვის დასკიდეს, რომ საეჭვოდ გაიხადა გერმანიის ეკონომიური ერთიანობის ისეთი აღდგენის მიზანშეწონილობა და შესაძლებელია, როგორიც საშუალებას ბოლომდე გერმანელ ხალხს გამოკანაბა გერმანიის ეროვნულ მშვიდობისმყოფელ დემოკრატიულ სახელმწიფოს აღორძინების გზა, ამერიკის შეერთებული შტატების ტრესტებისა და მონოპოლიებისაგან დამოუკიდებელად.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუმანის გამოსვლა

ისევე, როგორც გუშინ, შუმანმა მნიშვნელოვან წილად გადვიარა აჩესონის გამოსვლა. პოტსდამის შეთანხმების დამოწმებით იგი ცდილობდა გაემართლებინა დასავლეთი სახელმწიფოთა სეპარატული მოქმედება, რამაც გამოიწვია გერმანიის გათიშვა. „ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი,—თქვა მან,—რომ ის, რაც ჩვენ მთელი რიგი თვეების მანძილზე გავაკეთეთ,—გაკეთებულია პოტსდამის შეთანხმების საფუძველზე".

აჩესონისაგან შუმანი ამტკიცებდა თითქოს დასავლეთი გერმანიაში მიღწეულია არსებითი პროგრესი, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური დარგში, და რომ „მთელი ჩვენი სისტემა,—როგორც შუმანმა თქვა,—ემყარება დემოკრატიულ საფუძველს".

მაგრამ ვინ არ იცის, რომ სინამდვილეში დასავლეთი გერმანიაში სასტიკად დევნიან დემოკრატ მოღვაწეებს, რომ მნიშვნელოვნად გამოიყენებენ რეაქციულ დაჯგუფებანი, რომ დასავლეთ გერმანიის ადმინისტრაციული და სამეცნიერო ინსტიტუტების ხელმძღვანელობაში ფაშისტ-ბანდიტ ოფიცრებს ეჭირათ ადგილი, ეს ფაქტებიც ეჭარა ინტერვენტ-ბანდიტ ოფიცრებს ხელშეკრულებაში?

როგორც აჩესონი, ისე შუმანიც კვლავ გამოეცდა ოთხმხრივი კონტროლის აღდგენის წინააღმდეგ. შუმანმა ვერ შეძლო უარყო ვიშინსკის მიერ მოყვანილი ის თვალსაჩინო ფაქტი, რომ დასავლეთი სახელმწიფოებები, უარს ამბობენ რა ოთხმხრივ კონტროლზე, ამავე დროს ქმნიან სამხრეთ კონტროლს, და შეეკადა საქმე იმგვარად წარმოედგინა, თითქოს დასავლეთი სახელმწიფოებს სამხრეთ საკონტროლო ორგანოს მხოლოდ ძალზე შეზღუდული ფუნქციები აქვს.

შუმანი გადავიდა პოლიტიკური ერთიანობის საკითხზე და თქვა:

— საბჭოთა დელეგაციის წინადადებას იძლევა შეიქმნას სრულიად გერმანიის ორგანო არსებული ეკონომიური ორგანოების საფუძველზე,—მე ბაზს ვუსვამ სიტყვას „ეკონომიური". ეს წინადადება გაბზე სტოვებს არსებულ პოლიტიკურ ორგანოს. შუმანმა არ დაიზუსტა, რომელი პოლიტიკურ ორგანოზეა ლაპარაკი, მაგრამ შეიძლება ეფიქრებოდნენ, რომ მხედველობაშია ორგანო, რომელიც ამას წინათ შეიქმნა დასავლეთ გერმანიაში ეგრეთ წოდებული ბონის კონსტიტუციის ძალების შემდეგ და რომელსაც დასავლეთის ბრუნა განინიჭებულ, როგორც დასავლეთ გერმანიის მომავალი სეპარატიული მთავრობის ჩანასახს.)

დასასრულ შუმანმა თქვა, რომ მისი აზრით, საბჭოთა წინადადებანი თითქოს არ შეიცავენ გერმანიის „ერთიანობის გარანტიას".

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბჭოთა წინადადებების ასეთი განმარტება, რასაკვირველია, ეშმაკურად წარმოედგინა, თითქოს დასავლეთი სახელმწიფოთის სამმხრივ საკონტროლო ორგანოს მხოლოდ ძალზე შეზღუდული ფუნქციები აქვს.

შუმანი გადავიდა პოლიტიკური ერთიანობის საკითხზე და თქვა:

— საბჭოთა დელეგაციის წინადადებას იძლევა შეიქმნას სრულიად გერმანიის ორგანო არსებული ეკონომიური ორგანოების საფუძველზე,—მე ბაზს ვუსვამ სიტყვას „ეკონომიური". ეს წინადადება გაბზე სტოვებს არსებულ პოლიტიკურ ორგანოს. შუმანმა არ დაიზუსტა, რომელი პოლიტიკურ ორგანოზეა ლაპარაკი, მაგრამ შეიძლება ეფიქრებოდნენ, რომ მხედველობაშია ორგანო, რომელიც ამავ მზადდება ინგლისურ ზონაში ეგრეთ წოდებული ბიზეზონიის ბონ კონსტიტუციის ძალების შემდეგ და რომელსაც დასავლეთ ბრუნა განინიჭებულ, როგორც დასავლეთ გერმანიის მომავალი სეპარატიული მთავრობის ჩანასახს.)

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბევინის გამოსვლა

აჩესონისა და შუმანისაგან განსხვავებით ბევინმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ შესაძლებელია ოთხმხრივი სამოკავშირეო კონტროლის აღდგენა მისი ფუნქციების შეცვლისა და შეზღუდვის პირობით. მაგრამ ამასთან მან წინადადება წამოაყენა, რომ ნამუშევი მიღებულ იქნას სამი დასავლეთი სახელმწიფოს ვაშინგტონის სეპარატიული შეთანხმება.

— ჩვენი აზრით, — თქვა მან, — ჩვენ ერთმანეთში ვეძიებთ ორი სხვადასხვა სახის ერთიანობას. ჯერ ერთი, არის გერმანიის ერთიანობის საკითხი და მეორე, არის სამოკავშირეო ერთიანობის საკითხი. რაც შეეხება სამოკავშირეო ერთიანობას, ვფიქრობ, ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს მივაღწიოთ შეთანხმებას ამ საკითხზე, თუ აღმოსავლეთი ზონა შეუერთდება შეთანხმებას სამმხრივი კონტროლის შესახებ და თუ ჩვენ შეეთანხმებანთ შეეზღუდოთ სამოკავშირეო კონტროლი უმაძრეთის საკითხებთან.

დაამოწმა რა ის, რომ ეს საკითხები ზამოაყენებებულია ვაშინგტონის შეთანხმებაში, ბევინმა განაგრძო:

— მე ახლა მოგცემთ კითხვას, თანახმა ხართ თუ არა, რომ აწარეგ ამ ნიადაგზე უნდა ვიგაკეთოთ ჩვენი შეთანხმება და რომ ამ საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ სამოკავშირეო ერთიანობას?

რაც შეეხება გერმანიის ერთიანობის ეკონომიურ და პოლიტიკურ პრობლემებს, ბევინმა წინადადება წამოაყენა, რომ ისინი გადაწყვეტილ „თვით გერმანელებმა". ამასთან მან დაიზუსტა, რომ მხედველობაში აქვს წინადადება მისეცის მოეწ გერმანიის მიბაძოს ამ მაგალითს, რომელიც მოეკიფილი იყო დასავლეთი ზონებში. „დროა მოვეკითხოთ თვით გერმანელებს, — თქვა ბევინმა.—ჩვენ დასავლეთი ზონებში ეს გავაკეთეთ 43 მილიონ გერმანელს, ე. ი. გერმანიის მთელი მოსახლეობის ორი მესამედის მიართ, და ახლა ნათელი წარმოდგენა გვაქვს, თუ რას ფიქრობს გერმანელი ხალხის ეს ნაწილი ერთიანობის საკითხის შესახებ".

მაგრამ ვინ არ იცის, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა მიერ განხორციელებული გერმანიის გათიშვა სრულიადაც არ შეესაბამება დასავლეთ ზონებისა გერმანელი მოსახლეობის მისწრაფებებს, რომელთანაც ვითომდა „ეროთანხლის" ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა? ვინ არ იცის, რომ დასავლეთ გერმანიისათვის ე. წ. საოკუპაციო სტატუტის თავზე მოხვეული დასავლეთ სახელმწიფოებს განზრახული აქვთ ნაგრძელდეთ ვადით შემოიღონ საოკუპაციო რეჟიმის სისტემა?

ყველასათვის ცნობილია, რომ გერმანელი ხალხის ის ნაწილი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში იმყოფება, ერთიანობის საკითხზე ფიქრობს იმასვე, რასაც ფიქრობს აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობა; გერმანელ ხალხს სურს ეს ერთიანობა, მაგრამ დასავლეთი სახელმწიფოების პოლიტიკა ხელს უშლის მისი მისწრაფების განხორციელებას.

* * *

26 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო განაგრძობს გერმანიის ერთიანობის პრობლემის განხილვას.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემა რუმინეთში

ბუქარესტი, 26 მაისი. (საკუთრ.). რუმინეთის ხუთათა პარტიის გამომცემლობამ რუმინეულ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეორე ტომი. ამბანაგ ი. ბ. სტალინის თხზულებათა უფიდეს წარმატებას მშრომელთა ფართო მასებში მოწმობს ის ფაქტი, რომ ორი კვირაც არ გასულა მეორე ტომის გამოცემიდან, რომელიც გამოშვებულ იქნა 50 ათას ცალად, რომ თითქმის ყველა წიგნი გაყიდულა აღმოჩნდა.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი გამოშვებულ იქნა 50 ათას ცალად და ამჟამად მოლოდინად გაყიდულია. ბევრ მაღაზიაში ეს წიგნები რამდენიმე საათის განმავლობაში გაიყიდა. წიგნების საყიდლად რიგები იმართებოდა. ამჟამად გამომცემლობა ამბანაგ სტალინის თხზულებათა პირველი ტომის მეორე გამოცემას.

„საკავშირო კ. ბ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" გამოცემულ იქნა რუმინეულ ენაზე 348 ათასი ცალად და უნგრულ ენაზე 100 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. წიგნის მოთხოვნა ამდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მზადდება „მოკლე კურსის" ახალი გამოცემა, ე. ი. ლენინის მოკლე ბიოგრაფიით 50 ათას ცალად.

მარტო მიმდინარე წლის თებერვაში რუმინეთის მუშათა პარტიის გამომცემლობამ გამოსცა 66 სახელწოდების წიგნი 1.500 ათასი ცალი საერთო ტირაჟით, თებერვალში—90 წიგნი და ბროშურა 2.230 ათასი ცალი საერთო ტირაჟით, ხოლო მარტში—94 წიგნი და ბროშურა 3.230 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

მსოფლიოში ტირაჟით გამოდის ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ორტომეული, რომელიც „მოთათბირეს" ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა? ვინ არ იცის, რომ დასავლეთ გერმანიისათვის ე. წ. საოკუპაციო სტატუტის თავზე მოხვეული დასავლეთ სახელმწიფოებს განზრახული აქვთ ნაგრძელდეთ ვადით შემოიღონ საოკუპაციო რეჟიმის სისტემა?

ყველასათვის ცნობილია, რომ გერმანელი ხალხის ის ნაწილი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში იმყოფება, ერთიანობის საკითხზე ფიქრობს იმასვე, რასაც ფიქრობს აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობა; გერმანელ ხალხს სურს ეს ერთიანობა, მაგრამ დასავლეთი სახელმწიფოების პოლიტიკა ხელს უშლის მისი მისწრაფების განხორციელებას.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობა

პრაღა, (საკუთრ.). 25 მაისს პრაღაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობა. ყრილობას ესწრება სამი ათასზე მეტი დელეგატი გადამწყვეტი ხმით და სათათბირო ხმით, რომელნიც ახლელი სტუმარი, აგრეთვე ფაშიზმ-აკაბრნების წარმომადგენლები, ეროვნულ ფრონტში შემავალი პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ყრილობაზე სტუმრად მოვიდნენ 29 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, მათ შორის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ჩინეთის, ესპანეთის, საბერძნეთის, ნორვეგიის, პოლანდიის, ვენესუელის, საფრანგეთის, იტალიის, კუბისა და მრავალი სხვა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგატები. უცხოეთის დელეგაციათა შემადგენლობაში არიან მუშათა მომრაობის მთელი რიგი გამოჩენილი მოღვაწენი. საფრანგეთიდან მოვიდა ანდრე მარტი, იტალიიდან—პალმირო ტოლიატი, გერმანიიდან—ო